8

603 ლ 11/52

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

1 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1992 წ.
№ 57 (10 714) ● ფასი 2 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბაზრო ეკონომიკა დაუნდობლად გვიტევს. ასეთია მისი კანონი. და მაინც, ქართული სპორტი უნდა გადავარჩინოთ; გადავარჩინოთ ყველამ ერთად, გულდადინჯებით ვიფიქროთ არა მარტო სპორტის ცალკეული სახეობების, არამედ ამ სფეროში მომუშავე ადამიანების ბედზე. ახლა დადგა დრო ხმამაღლა ვთქვათ და გამოვაცხადოთ, რომ სპორტის ზოგიერთი სახეობის გადარჩენის გზა კერძო სპორტული კლუბების შექმნაზეც გადის. დავფიქრდეთ!

ჭარბმა პოლიტიკამ დიდი სპორტი უნდა ასაზრდოს

ბიბლიოთეკა

ამბობს დეპუტატობის კანდიდატი გოდერძი ველიჯანაშვილი

ყველას კარგად გვახსოვს, ძველებს მით უმეტეს, არც ისე შორეულ წარსულში ბედის ანაბარა მიტოვებული ლიმონივით გამოწურული ჩვენი „მოყვარული“ სპორტსმენები, ახალი ცხოვრების გზაჯვარედინზე გზააბნეული უპროფესიონი, ხელფეხშეკრულნი.

ჩვენი დაწყევლილი ყოფის გარდა, სპორტი და ბიზნესი ყველგან განუყოფელი ცნებები იყო. პირველი მეორით ჭამდა პურს, მეორე კი პირველის მეშვეობით — დიდი სპორტული ფორუმებით ძლიერდებოდა და ღონიერდებოდა. ჩვენს სპორტსმენებს, თუნდაც ბიზნესის ანბანიც კარგად სცოდნოდათ და უნარიანადაც გარჯილიყვნენ, დიდიდიდი „საბჭოური ბიზნესის“ უმაღლესი ფორმისთვის— დახლისთვის გამოეკრათ ხელი. ესეც რამე იყო მაშინ.

ქართულმა სპორტმა და ბიზნესმა ერთად უნდა იარონო, ვწერდით ამ ცოტა ხნის წინ. ასეც არის. სარბიელზე ნაწრთობ ხალხს ყველაზე კარგად მოეხსენება გამარჯვების, ჟინის, აზარტის, კაცური სიტყვის ფასი, ურომლისოდაც არც ბიზნესი არსებობს. ამიტომაც არის ჩვენი ყოველდღიური ყოფის ეს ორი სფერო განუყრელი.

გოდერძი ველიჯანაშვილი. ასოციაცია „ფალავანის“ პრეზიდენტი, საქართველოს სამართლიანობის პარტიის თავმჯდომარე, დეპუტატობის კანდიდატი იმ ბედნიერთა რიცხვს ეკუთვნის, ახალ დროს რომ მოესწრნენ და მხოლოდ „გამოწურულ ლიმონად“ არ დარჩნენ. თუმცა მის ოფისში ჩემი ერთსაათიანი ვიზიტის დროს ამ კაცმა იმდენ საქმეს დაადგა თავი, ვიფიქრე, ეს არც იმ ძველ დროში დაიკარგებოდა-მეთქი. იქნებ, მაშინ თავად ჩვენ, ყველანი ერთად, ვიყავით ინერტულები.

ბატონ გოდერძისთან ჩვენი საუბარი საკმაოდ ვრცელი, საქმიანი და შინაარსიანი გამოდგა. მოუსმინეთ და დარწმუნდებით, რომ ასეთი პიროვნება შეიძლება ნამდვილად გახდეს ახალი, კანონიერი მთავრობის კაცი.



— ქულების დასაგროვებლად არასდროს გავრჯილვარ. ჩვენ კონკრეტულ საქმეს მოვკიდეთ ხელი, ამიტომაც ვართ მდიდრებიც, ქველმოქმედებიც, საქმიანებიც. არც მოახლოებული არჩევნების გვეშინია. მარტო სპორტის მოყვარულები რომ გვენდონ, ჩვენი ბლოკიდან ხუთი კაცი მაინც გავა, ხუთივე სპორტსმენი — შოთა ხაბარელი, ზარიბეგ ბერიაშვილი, ლევან თედიაშვილი, ნოდარ მოდებაძე და მე. შოთას გარდა ყველა დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელია, მაგრამ ჩვენს ბლოკში ხომ არიან. თან ამ ბლოკის — „მშვიდობის“ დაფუძნების თაოსნები სწორედ ჩვენ და მათი კავშირი ვართ.

ჩემს გარდა ჩვენი პარტიიდან კენჭს იყრიან ტარიელ ჩუთლაშვილი, რამაზ ხიზანიშვილი, ზურაბ კაციტაძე და თემურ ჯაგოდნიშვილი. ისინიც საკმაოდ ახლოს არიან სპორტთან.

● ქულების დაგროვებაზე არ ვფიქრობთო, ბრძანებთ. რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც იმ ბლოკში შესვლა, რომელსაც თავიდან ბატონი ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგა სათავეში?

იხ. მე 2 გვ.

მამულიშვილობის კრიტერიუმი არავის დაუდგენია, მაგრამ არა გვგონია, ვინმე შეგვედავოს თუ ვიტყვით, რომ მამულიშვილობა ისიცაა, თითოეულმა თავისი საქმე აკეთოს, შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინოს ქვეყნისა და ხალხის სამსახურში. საქართველოს ოლიმპიელთა წარმატებები საერთოდ და კერძოდ ბარსელონაში ამის მკაფიო მაგალითია. ანდა, რით არ არის ნაღდი მამულიშვილობა, როცა უცხო ქვეყანაში მოღვაწე ქართველ კაცს თავისი ხალხი მუდამ ახსოვს და საქმით ადასტურებს ამას?

ასეთი გახლავთ მოსკოვში მცხოვრები ბატონი ოთარ კვანტრიშვილი, ლ. იაშინის სახელობის ფონდის პრეზიდენტი, რომელმაც მშობლიურ ზესტაფონში შეხვედრაზე მიიწვია ბარსელონაში ოლიმპიადის ჩემპიონები და პრიზიორები, შეახვედრა ისინი საზოგადოებრიობას, მოსკოველ და თბილისელ კულტურის მუშაკებს. ოლიმპიადის ჩემპიონებს ო. კვანტრიშვილმა გადასცა 100-100 ათასი მანეთი, პრიზიორებს კი 50-50 ათასი მანეთი თითოეულს. მანვე ახალშექმნილ ზესტაფონის ძიუდოისტთა პროფესიულ კლუბს საჩუქრად ჩამოუტანა სპორტული ფორმის ათეულობით კომპლექტი, კიმონოები...

ქალაქის სტადიონზე რამდენიმე წელია არ შეკრებილა ამდენი ხალხი. რაკი ტრიბუნაზე ტევა არ იყო, ბევრმა პირდაპირ მოედანზე მოიკალათა. ზეიმი-კონცერტი სამ საათს გაგრძელდა.

ხალხმა გაიხარა.

გაიხარე შვილო, ოთარ! —იმერული სითბოთი ტკბილად ლოცავდნენ ხნიერი ადამიანები თანამემამულეს.

მეორე დღეს, 27 სექტემბერს ზეიმი თბილისში გაგრძელდა. სამწუხაროდ, დედაქალაქელებმა ვერ გამოიჩინეს ზესტაფონელთა დარი დაინტერესება.

◆

სურათებზე: მარცხნიდან — ლერი ხაბელოვი, ოთარ კვანტრიშვილი და იოსებ კობზონი; მღერის ზურაბ ხოტკილავა და „ოთხი გია“ (საქინფორმისა და ა. კოტორაშვილის ფოტოები).

ჰელსინკში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. მონაწილეთა შორის იყო 46 დიდოსტატი. ასპარეზობა მიმდინარეობდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად.

ჩვენმა თანამემამულემ ქეთინო კახიანმა, მსოფლიოს ჩემპიონმა სიე ჯუნმა (ჩინეთი) და ინგუნა ერნესტემ (ესტონეთი) ტურნირი ერთნაირი შედეგით — 5-5 ქულით დაამთავრეს. უკეთესი კოეფიციენტით I ადგილი ქართველ მოჭადრაკეს ხვდა, რომელმაც, სხვათა შორის, ვაჟთა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ქეთევან არახამიას 4,5 ქულა აღმოაჩნდა, ნონა გაფრინდაშვილსა და ნინო გურიელს — 4-4.

ვაჟთა შეჯიბრებაში მოასპარეზე ზურაბ სტურუას XI-XII შედეგი ჰქონდა.

სურათზე: ქეთევან კახიანი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

◆

ვულოცავთ!

ამ დღეებში ყველაზე თავდადებულ ჟურნალისტს ისტორიკოსებს შორის და ყველაზე დიდ ისტორიკოსს ჟურნალისტებში გივი გამრეკელს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. „ლელოს“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს თავის და მრავალ სხვა გაზეთის აქტიურ თანამშრომელს ამ საიუბილეო თარიღს და უსურვებს კიდევ ბედნიერ 60 წელს.

ბარსელონის გაკვეთილები

XXV ოლიმპიური თამაშები

გზა გავლილი და გასავლელი

ბრძოლა გავლენისათვის

ბარსელონაში გამართულ პრესკონფერენციებზე არაერთგზის გამოითქვა ეჭვი, რომ უკვე მომავალ ოლიმპიადაზე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელი გამოსვლა შეასუსტებს თამაშების დაძაბულობასა და სპორტულ ჟინს. სკეპტიკოსთა აზრით, ეს მოხდება თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიას აღარ ეყოლებათ ისეთი სერიოზული მეტოქე, როგორიც იყო ჯერ სსრ კავშირის ნაკრები, ბოლოს კი — დსთ-ს გაერთიანებული გუნდი. ამ ვარაუდში არის ერთგვარი ჭეშმარიტება, მაგრამ, საკითხავია, ზესპორტული სახელმწიფოების ინტერესებს რატომ უნდა შეეწიროს სხვისი უფლებები?

— დიახ, ოთხი წლის შემდეგ ატლანტაში ვეღარ შევძლებთ ღირსეული მეტოქეობა გავუწიოთ ჩვენს მთავარ კონკურენტებს, შეერთებული შტატებისა და გერმანიის სპორტულ დელეგაციებს, ამას გარდა, ძალიან დაწინაურდება ჩინეთი — განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრისას გაერთიანებული გუნდის ხელმძღვანელმა ნიკოლაი რუსაკმა.

ცხადია, რუსაკი რუსეთს გულისხმობდა, როცა ამას ამბობდა. სპეციალისტების ერთი ჯგუფის ვარაუდით, თუ სპორტისადმი ფინანსური მხარდაჭერა კვლავ დარჩა სახელმწიფოებრივ პოლიტიკად, ამ სფეროში რუსეთს დიდად არ დაეტყობა ყოფილ „მოძმე რესპუბლიკებთან“ გამომშვიდობება.

შემთხვევითი არ იყო, რომ რუსეთის პრეზიდენტის პირადი მრჩეველი სპორტის საკითხებში შამილ ტარპიშჩევი ბარსელონაში ჩამოვიდა, რითაც თითქოს ყველას აგრძნობინა, რომ მისი სახელმწიფო და პრეზიდენტი არ ცვლიან სპორტისადმი დამოკიდებულებას და ამით ერთგვარი შიშის გრძნობა კვლავ დაუტოვა ტრადიციულ მეტოქეებს. თუმცა დღეს მხოლოდ სურვილით, როგორც უნდა იყოს გაამაყებული წარსული დიდებით, ფონს ადვილად ვერ გახვალ. ეს ყველას კარგად ესმის. ახლა რუსეთისთვისაც სხვა ცხოვრება იწყება, ახლებური ცხოვრების კანონები კი, სურს თუ არა ეს ვინმეს, მაინც თავისას გაიტანს. ფასეულობათა გადაფასება უთუოდ შეეხება სპორტის სფეროსაც, მაგრამ როგორ? აი ეს არის საკითხავი და შედეგს წინასწარ ვერავინ განჭვრეტს.

რუსეთს მაინც თავისი უდიდესი პოტენციალის იმედი აქვს. აქ, ცხადია, იგულისხმება არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობა, არამედ სპორტული ბაზებიც, მწვრთნელთა კადრებიც და ისიც, რომ იგი სსრკ-ის სამართალმემკვიდრეა, რაც, ყველა სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისაგან განსხვავებით, მას ე. წ., ფორას აძლევს. აბა, ჰკითხეთ რუსეთის ზოგიერთ ცნობილ სპეციალისტს, რას გეტყვით. — ჩვენ, როგორც ინტერნაციონალისტები, ოლიმპიურ თამაშებში მრავალეროვანი საბჭოთა სპექტრის წარმოჩენის მომხრენი ვიყავით, თორემ რუსეთს ისედაც შეეძლო სრულფასოვანი გუნდების დაკომპლექტება, — ასეთია მათი შეხედულება. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. ვნახოთ, ეს ოთხი წელიწადიც მალე გავა და ცხადად გამოჩნდება, ვის რისი ძალა შესწევს.

ბარსელონაში ყოფილი „საბჭოთა“ კოლეგები, რომლებიც კვლავაც მრავლად ჩამოვიდნენ ოლიმპიადაზე, სულ იმის ცდაში იყვნენ, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ჟურნალისტები დავერწმუნებინეთ, რომ გაერთიანებული გუნდის შენარჩუნება მომავალშიც აუცილებელია — სხვაგვარად სპორტი ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ყველგან ჩაკვდება და დაიღუპება. სხვისი რა გითხრათ, ჩვენში კი ეს მოსაზრება ღიმილს იწვევდა. ძნელი მისახვედრი არ არის, საით უმიზნებდნენ „კეთილმოსურნე“ კოლეგები — იქნებ ეს აზრი რესპუბლიკების ჟურნალისტებმა თავიანთ აუდიტორიასაც მიაწოდონ. ვერ გეტყვით, ვინ როგორ გაითვალისწინა მათი დარიგება. იქნებ დსთ-ს ქვეყნები იზიარებენ კიდეც ამ შეხედულებებს, ჩვენ კი ჩვენი გზა გვაქვს და, ისიც ვიცით, თუ საჭირო გახდება, რჩევა ვის ვკითხოთ, ვისი აზრები გავიზიაროთ. ნიკოლაი რუსაკი ძალიან ხშირად ახსენებდა სპორტულ ბაზებს. მათი შემდგომი გამოყენება ვერც [illegible] წარმოუდგენია ძველებური პრინციპის გარეშე! „ჩემი შენია, შენი — ჩემი!“ ჩვენ ვიცით, ვის რა უნდა და სჭირდება ჩვენგან, მაგრამ საკითხავია, ჩვენ გვჭირდება თუ

იხ. მე 2 გვ.

კარგმა პოლიტიკამ დიდი სპორტი უნდა ასაზრდოოს

(დასასრული)

— სიმართლე თუ გინდათ, სწორედ პირიქითაა. ჩვენი ამ ბლოკში შესვლა მხოლოდ და მხოლოდ პირადმა სიმპათიამ განაპირობა. ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს ბატონ ვახტანგ გოგუაძესთან. თან ვფიქრობდით, რომ შევძლებდით ხელი შეგვეწყო ბატონი ედუარდის სახელმწიფო ხელისუფლებაში მოსვლისათვის. ვფიქრობ, ჩვენს პარტიას შესწევდა ამისი უნარი.

● და მაინც, რატომ დაირქვით „საქართველოს სამართლიანობის პარტია“, თქვენთან ხომ უმეტესად ყოფილი სპორტსმენები მოღვაწეობენ?

— სწორედ ამიტომ, სპორტსმენებს უფრო მეტად გვაქვს გამჯდარი სიმართლისთვის ბრძოლის ჟინი. ჩვენი პარტიაც ხომ მაშინ ჩამოყალიბდა, როცა სიცრუე, ფარისევლობა აუტანელი გახდა და მას საზოგადოებამ ბრძოლა გამოუცხადა — ოთხმოცდათერთმეტი წლის შემოდგომაზე.

● ყველაფერი ასოციაცია „ფალავანით“ დაიწყო.

— უფრო სწორად, ძიუდოს სპორტული კლუბით, რომელიც საქართველოს ნაკრებისაგან დამოუკიდებლად დავაარსეთ. თუმცა ახლა თითქმის მთელი ნაკრების ბიჭები ჩვენთან არიან. გუნდს ასოციაცია აფინანსებს, აძლევს საერთაშორისო სარბიელზე გასვლის შანსს, ქმნის ვარჯიშისა და დასვენების იდეალურ პირობებს — თითქმის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებულს, უგვარებს სპორტსმენებს უცხოეთში გასვლასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას. ჩვენი ბიჭები უკვე ორჯერ იყვნენ პოლონეთში, იყვნენ ჰოლანდიაში, სულ მალე, 20 ოქტომბერს, საფრანგეთში მივემგზავრებით ევროპის ჩემპიონატზე და ვფიქრობ, გამარჯვებულები დავბრუნდებით. ნოემბერში ისრაელის საერთაშორისო ტურნირი გველის. იანვარში კი კლუბებს შორის ევროპის პირველობაზე ვიასპარეზებთ იმათთან, ვინც კენჭისყრით შეგვხვდება, პრინციპით „შინ და გარეთ“... ადრე ასეთ ტურნირში არასდროს მიგვიღია მონაწილეობა, რადგან შეჯიბრებებში საკავშირო ნაკრების დონეზე ვმონაწილეობდით. ახლა კი საშუალება გვაქვს კლუბების შეჯიბრებაშიც გამოვცადოთ ჩვენი ძალა.

... რაც შეეხება ასოციაცია „ფალავანს“, იგი წელიწად-ნახევრის წინ ჩამოყალიბდა. იდეა თავისთავად მომწიფდა, რადგან ყველა წინაპირობა მისი შექმნისა არსებობდა. ერთ დღესაც შევიკრიბეთ მე, შოთა ხაბარელი, ზარიბეგ ბერიაშვილი, ედიშერ მაჩაიძე, თემო ყაზარაშვილი და საქმეს თავი მოვაბით. შემდეგ ყაზარაშვილმა ჩვენი დახმარებით სპორტული კლუბი შექმნა. შოთა მაშინ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო, ახლა კი ჩვენი დაარსებული უნივერსიტეტის პრორექტორია.

ადრე სპორტი პოლიტიკასთან იყო გადაჯაჭვული, ფედერაციების პრეზიდენტებადაც კი მინისტრებს „ირჩევდნენ“. „მინისტრი პრეზიდენტი“ თავის ფედერაციას ავალებდა, ამდენი სპორტსმენი უნდა მოიყვანო მიტინგზეო. თავის გამოჩენა უნდოდათ და სპორტსმენი ცირკის ოინბაზი ეგონათ.

ეს გულისტკივილი ედო საფუძვლად ჩვენი ასოციაციის ჩამოყალიბებას. თუ არჩევნებში გავიმარჯვეთ, იმაზე ვიზრუნებთ, რომ კარგმა პოლიტიკამ დიდი სპორტი კი არ დააკაბალოს და დააბეჩავოს, არამედ ასაზრდოოს.

● ისე გამოდის, თითქოს ბოლო ოლიმპიადის რვა მედალი არაფერს გეუბნებათ...

— რა თქმა უნდა, არ მეუბნება. პოტენციურად ჩვენ შეგვეძლო მეტისთვის მიგვეღწია. გაიხსენეთ, მედალი მოიპოვა მან, ვინც ჩუმად, მალულად ასპარეზობდა დიდ, საერთაშორისო სარბიელზე.

ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, რომ არ შეიძლება საქართველოში სპორტის ყველა სახეობას ერთნაირად მივდევდეთ და ვავითარებდეთ. რაც ჩვენს სულში არ ზის, იმაზე ფულის დახარჯვას აზრი არა აქვს.

ესეც ქართული ბუნებაა ალბათ, ფულის თვლა და ყაირათიანად ხარჯვა რომ ვერ ვისწავლეთ. კაპიტალისტური ქვეყნები ბევრ ასპარეზობაზე უარს ამბობენ. რატომ, საშუალება არა აქვთ? არა, ურჩევნიათ ის „დასაკარგი“ თანხა უფრო პერსპექტიულ და შემოსავლიან სახეობაში გამოიყენონ.

კიდევ ერთი: სპორტის ხსნად მე საკლუბო სისტემაზე გადასვლა მესახება. ამის მაგალითია ჩვენი ძიუდოს კლუბი. მე ვყიდულობ სპორტსმენს, მწვრთნელს, ვხარჯავ ფულს და მინდა ისეთი კლუბი მქონდეს, როგორიც ოცნებაში თუ წარმომიდგენია. ამისთვის მე, კერძო კლუბის მფლობელი, არაფერს დავიშურებ. ასე იქნება სხვაც და საქართველოს ჩემპიონატი რომ ჩატარდება, სხვადასხვა კლუბებში მომზადებული სპორტსმენები შეხვდებიან ერთმანეთს. კონკურენციაც მეტი იქნება, გამარჯვების სურვილიც. წინათ ასე იყო, საქართველოს ნაკრებში ერთად ემზადებოდა ყველა, მერე ერთმანეთს ხვდებოდნენ და გამარჯვებულ-დამარცხებული ერთი გუნდის წევრები იყვნენ. განა ეს სწორია?

● როგორც ყოფილი ძიუდოისტი, ალბათ, ძირითადად სპორტის ამ სახეობას სწყალობთ.

— არა, რატომ? მე წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან, ძირძველი მესხეთიდან ვარ. ასპინძაში არის ასეთი საფეხბურთო კლუბი „ვარძია“. ამ ბოლო ხანს ძალიან გაუჭირდათ, არადა, მონდომებული ახალგაზრდები არიანა. დავპირდი, დაგეხმარებით-მეთქი. სამასი ათასი მანეთი უნდა გადამერიცხა. ხარჯთაღრიცხვა რომ ვნახე, გამიკვირდა. კლუბმა ორმოცდაათი ათასი მანეთი საწევრო უნდა გადაუხადოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. რატომ? მე, უცხო კაცი თუ უნდა დავეხმარო, გაჭირვებაში მხარში ამოვუდგე, ფეხბურთის ფედერაცია რას მიკეთებს? რისთვის უნდათ ან თავი, ან ასეთი ფედერაცია? სპორტსმენებისა და გუნდებისგან „შეწერილი“ ფულით ჯიბე რომ გაისქელონ?

ჩემთვის მიუღებელია ასეთი რამ. ეს მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციას როდი ეხება! მე ვიცი, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში სულ ორი-სამი კაცი აგვარებს საქმეს, მთელი მსოფლიოს საქმეს. აქ კი უსაშველოდ გაბერილია შტატები. ამიტომ საკლუბო სისტემაზე გადასვლა გამართლებულად მიმაჩნია მაშინ ასეთი რამ შეუძლებელი იქნება.

● თქვენი ასოციაციის საქველმოქმედო საქმეებზე სხვაგანაც ბევრი მსმენია. მაინც საიდან გაქვთ ამდენი შესაძლებლობა?

— თავიდან კრედიტი ავიღეთ ბანკისგან. შემდეგ, საქმეს გულიანად რომ შევუდექით, მოგებაც ვნახეთ, ვალი მალე გავისტუმრეთ. შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ჩვენს ასოციაციასთან არსებული უნივერსიტეტი, რომელიც თოთხმეტ-თხუთმეტ მილიონს გვაძლევს წელიწადში. მართალია, ეს თანხა ისევ ჩვენს სტუდენტებს ხმარდება, მაგრამ აქ ერთი პრინციპია — ფული ერთბაშად შემოგვდის და ნაწილ-ნაწილ ვხარჯავთ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, სტიპენდიებისთვის, პროფესორ-მასწავლებელთა ანაზღაურებისთვის. მანამდე კი ამ ფულს „ვატრიალებთ“.

გვაქვს საკუთარი მეღორეობის, მესაქონლეობის, მეფრინველეობის ფერმები (ხორცს მაღაზიებს ვაბარებთ ბაზართან შედარებით შეღავათიან ფასებში), ხილის დამამუშავებელი საწარმოები. მივდევთ თევზის რეწვას, ჩვენი საწარმოები მთელი საქართველოს ტერიტორიაზეა გაფანტული. ხის მასალა ჩვენ რუსეთიდან შემოგვაქვს და გული მისკდება, როცა ვგებულობ, რომ ბახმაროს ტყეს თურქეთში ეზიდებიან.

ვაშენებთ ჰესებს კახეთსა და მესხეთში. მოკლედ, ვფიქრობთ, ვშრომობთ, და ვცდილობთ ჩვენი შესაძლებლობები ბოლომდე გამოვიყენოთ.

გახსოვთ, ალბათ, ბევრ ჩვენს სპორტსმენს გულდაწყვეტილს დაუტოვებია სარბიელი, ვერ მოუხერხებია საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა და დახარჯვა, ყველა წადილისა და ოცნების ასრულება. მაშინდელ სპორტსმენს მტერი შინაც მრავლად ჰყავდა და გარეთაც. ჩვენ კი წინ ველარაფერი დაგვიდგება. ამიტომ გვინდა ბოლომდე დავიხარჯოთ საქართველოსთვის, ოღონდ ახლა უკვე სხვაგვარ, უფრო პასუხსაგებ სარბიელზე.

ესაუბრა ინგა ჩახავაშვილი.

გზა გავლილი და გასავლელი

(დასასრული)

არა სხვისი? იმავე რუსაკმა რამდენჯერმე გაიხსენა, თანაც უცხოელ ჟურნალისტებთან, ბაკურიანი, ეშერა, ლესელიძე — ის სპორტული ბაზები, რომლებიც დიდხანს მართლაც კარგ სამსახურს უწევდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს. იმას არ ვამტკიცებთ, რომ აუცილებელია საიმედოდ ჩავრაზოთ ჩვენი მაღალი კლასის სპორტული ობიექტების კარი. თუ საბაზრო ეკონომიკა ყველაფერს ეხება, სპორტიც, კერძოდ, ჩვენი ბაზებიც, მოერგება მის პრინციპებს. რატომაც არა, სხვებსაც ვასარგებლებთ. თუ ამას საჭიროდ და ჩვენთვის სასარგებლოდ მივიჩნევთ.

რაღაც ძალები, რომლებსაც, რატომღაც, მოსკოველი ჟურნალისტები აშკარად ემხრობიან, ავრცელებდნენ აზრს, თითქოს სპორტსმენთა დიდ ნაწილს ისევ სურს ატლანტაში ერთად გამოსვლა. იყო ასეთი აზრიც: ერთად ვემზადოთ. ერთად წავიდეთ მომავალ თამაშებზე, ცალ-ცალკე ვიასპარეზოთ, შედეგები კი ისევ ერთად მივითვალოთო და ა. შ., ა. შ.

გვინდოდა აქ დაგვესვა წერტილი ამ თემისთვის, მაგრამ ერთგვარი უკმარისობის გრძნობა ჩვენც გვრჩება და, ალბათ, მკითხველსაც. ბოლო წლებში ცენტრის სპორტულ დიქტატთან დაპირისპირებაში იმდენი ინფორმაცია დაგვიგროვდა, რომ ფაქტები და მოვლენები უკვე ბარსელონის დღეებშიც და შემდეგაც ერთმანეთთან რაღაცნაირად დაკავშირებული გვეჩვენებოდა და გვეჩვენება. ცენტრი, ეტყობა, ყველგან ხლართავს დიქტატის ქსელს და სპორტიც არ აღმოჩნდა გამონაკლისი. ბარსელონაში ცენტრის ჟურნალისტების მიერ პირადი შეხვედრებისას გამოთქმული მოსაზრებები და ნიკოლაი რუსაკის ოფიციალური პოზიცია ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე აშკარად ერთ თარგზე გამოჭრილი ჩანდა.

რუსაკმა ბი-ბი-სის კორესპონდენტს, რომელსაც ყოფილი საბჭოთა სპორტის ბედი აინტერესებდა, უპასუხა, რომ საბჭოთა სპორტმა ათლეტთა მზადება-დაოსტატების შესანიშნავი სისტემა შექმნა და მისი შენარჩუნების საკითხი არ მოხსნილა დღის წესრიგიდანო.

— როგორ აპირებთ მის შენარჩუნებას? — იქვე დაუსვა შეკითხვა სხვა ჟურნალისტმა. რუსაკმა უპასუხა, საბჭოთა სპორტის მეცნიერული ცენტრები, კადრები და ბაზები თუ დანაწევრდა, ეს არავისთვის არ იქნება სასარგებლოო. აქედან გამომდინარეობდა დასკვნა: ერთიანი სპორტული სივრცის შენარჩუნებით ყველა თანაბრად უნდა იყოს დაინტერესებულიო.

ჩვენი მხრიდან თავის მოტყუება და გულუბრყვილობა იქნებოდა, ამ განცხადებაში ჭეშმარიტი გულშემატკივრობა დაგვენახა. სხვა საქმეა, თუ კაცს თავისი აზრი და პოზიცია აქვს, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, როგორ ცდილობდნენ საკავშირო სპორტსახკომის ფუნქციონერები თავიანთი უწყების შენარჩუნებას ვითომდა საერთოდ სპორტისა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სპორტული მომავლის საკეთილდღეოდ. დროთა განმავლობაში, მოვლენებისა და სიტუაციის შესაბამისად, ფარისევლობა სახეს იცვლიდა. იგონებდნენ ახალ-ახალ ვარიანტებს, რათა სადავეები ხელიდან არ გაეშვათ. „სხვისი ჭირისუფლები“ ფარ-ხმალს არც ახლა ყრიან. თანამდებობრივი „ნოსტალგია“ და ცხოვრებაში უეცრად შემოჭრილი დისკომფორტი ბევრს აიძულებს კვლავ ნიღაბი ატაროს.

აქვე გვინდა მოკლედ შევეხოთ დაპირისპირებას რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტსა და ყოფილი საკავშირო სპორტსახკომის ყოფილ ხელმძღვანელებს შორის. რუსაკი სპორტსახკომის ბოლო თავმჯდომარე გახლდათ. ეტყობა, ახალი რუსეთის მთავრობასთან ის უფრო დაახლოებულია, ვიდრე ქვეყნის ოკ-ის ხელმძღვანელობა. დაპირისპირებულთა შეხედულებები აშკარად განსხვავდება. რუსაკი, როგორც ვთქვით, სპორტში სახელმწიფო დაფინანსებას მოითხოვს. ოკ-ის თავკაცები კი ამტკიცებენ, ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გარეშეც შევძლებთ არსებობასო. ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე ბარსელონაში, რუსეთის ოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ ვასინმა ნიკოლაი რუსაკს სიტყვა არ შეარჩინა, როცა ამ უკანასკნელმა განაცხადა, ამ ოლიმპიადაზე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებმა სახელმწიფო დოტაცია მიიღესო.

— სახელმწიფოსგან ჩვენ არაფერი მიგვიღია, ხარჯები მთლიანად სპონსორების შემწეობით და კომერციული პროგრამის წყალობით დაიფარაო, თქვა ვასინმა, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება რუსაკის მოსაზრებას უფრო ემხრობა, რაც თამაშებზე ტარპიშჩევის ჩამოსვლითაც დადასტურდა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ რუსაკი და მისი ამალა სერიოზულად ფიქრობენ დსთ-ს ქვეყნებისთვის ერთიანი სპორტული სივრცის შენარჩუნებაზე. ჯერჯერობით დიქტატისაგან თავი დაიხსნა მხოლოდ ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს სპორტმა. არა გვგონია, ეს სხვებსაც არ სურდეთ.

რუსეთში და შემდეგ რუსეთის მეშვეობით დსთ-ს ქვეყნების ერთ სპორტულ სამყაროში გაერთიანების ზრახვები სხვა მხრივაც ვლინდებოდა. ჩვენთვის გაუგებარია, მაგალითად, რა მიზანი ჰქონდა ბარსელონაში ოლიმპიადის ჩემპიონებისა და მათი მწვრთნელებისათვის „სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის“ და „სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის“ წოდებების მინიჭებას. არა, აქ მხოლოდ სტიმულთან არა გვაქვს საქმე. დაპირისპირებულთა ერთ მხარეს ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, იმის ხაზგასმა სურს, რომ სპორტში რაც მაღალი და მასშტაბურია წოდება, მით უკეთესი, ე. ი. თუ დსთ-ს ქვეყნების სპორტული ერთიანობა არ დაირღვევა, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს აგერ, ეს დიდებაც შეუნარჩუნდებათ (ცხადია, დასახელებაში „სსრ კავშირს“ „დსთ“ შეცვლის), როგორც ხედავთ, „სატყუარაზე“ უარს არც ახლა ამბობენ, სატყუარა კი იმის სატყუარაა, რომ ვინმე მოატყუოს.

გვიცნობენ, როგორც სპორტულ ქვეყანას

ოლიმპიადამდე და ოლიმპიადის დღეებში ბარსელონაში ბევრი საერთაშორისო კონგრესი გაიმართა. ჩვენმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ მოგვანიჭეს უფლებამოსილება, საქართველოდან ოფიციალურად დავსწრებოდით ამ კონგრესებს. რა თქმა უნდა, მონაწილეობას ვიღებდით მხოლოდ იმ თავყრილობებში, სადაც დღის წესრიგში საერთაშორისო ფედერაციებში საქართველოს გაწევრიანების საკითხიც იდგა. სიამაყით გვინდა აღვნიშნოთ ის ყურადღება და დაინტერესება, რასაც ჩვენი ქვეყნისადმი იჩენდნენ როგორც ორგანიზატორები, ისე დელეგატები.

ზოგჯერ სინანულით ვიტყვით ხოლმე, საქართველოს ჯერ კარგად არ იცნობენ უცხოეთის სახელმწიფოებიო. სპორტზე, ყოველ შემთხვევაში, ცალკეულ სახეობებზე (და მათი მეშვეობით — მთელ საქართველოზე), ეს არ ითქმის. ამაში ცხადად დავრწმუნდით. უცხოეთის სამყარო ჩინებულად იცნობს ქართულ სპორტს, რასაც ჩვენი სპეციალისტებისა და სპორტსმენების პირადი კონტაქტები და ავტორიტეტი განაპირობებს. მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ მაგალითს: თითქმის ყველა კონგრესზე საერთაშორისო ფედერაციის წევრად ერთხმად გვიღებდნენ, მერე კი შესვენებას გამოაცხადებდნენ თუ არა, იწყებოდა მილოცვა — სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა რიგი დგებოდა სხდომის დარბაზში თუ ფოიეში. პირადად ჩვენზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფრენბურთისა და ველოსპორტის საერთაშორისო ოჯახში გაწევრიანებამ. დელეგატები, ისინი კი თავიანთი ქვეყნების სპორტში თვალსაჩინო ავტორიტეტები არიან, ჩვენი ფედერაციების წარმომადგენლებთან ედუარდ სანთელაძესთან და მირონ ბარამიასთან მოდიოდნენ მხოლოდ ერთი თხოვნით — ხელი შეეწყოთ მათი ქვეყნებისთვის საქართველოსთან სპორტული ურთიერთობის დამყარებაში.

ამ პატივისცემას გაფრთხილება უნდა. ჩვენ დღეს დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა ვართ. ეს ქართულ სპორტს უდიდეს პერსპექტივას უსახავს, ახლა მთავარია, დროულად გავთავისუფლდეთ ძველი აზროვნებისაგან, სრულვყოთ ეროვნული სპორტის სტრუქტურები.

რა არის დღეს და ამ ახალ ოლიმპიურ ოთხწლედში ჩვენთვის მთავარი? ჯერ ის ვთქვათ, რომ 1992-1996 წლების ოლიმპიურ ციკლში ჩვენს ძირითად ამოცანასა და გეზს ფაქტობრივად ის გადაწყვეტილება განსაზღვრავს, რომელსაც დღეს მივიღებთ. ემოციები უნდა მოვთოკოთ. ერთადერთი საზომი პროფესიონალიზმი უნდა იყოს.

სპორტის რომელ სახეობაში ვადგევართ დღეს პროფესიონალიზმის გზას? აი, აქ გვმართებს საკითხის „ცივი გონებით“ განსჯა, რათა მაქსიმალურად და ნაყოფიერად გამოვიყენოთ ეს ოლიმპიური ოთხწლეული. კიდევ ერთი: სპორტული დამოუკიდებლობა იმას არ ნიშნავს, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებში იმდენ მონაწილეს გამოვიყვანთ რამდენიც მოგვესურვება. შერჩევის პრინციპს განსაზღვრავენ მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციები, სადაც, როგორც წესი, მთავარი კრიტერიუმი სპორტსმენთა მაღალი ოსტატობაა.

ერთი სიტყვით, მთავარია, დროულად ავუღოთ ალღო პროფესიონალიზმს სპორტში. განსხვავება პროფესიულ და სამოყვარულო სპორტს შორის მხოლოდ იმაში არ უნდა ვეძებოთ, რომ ერთისთვის სპორტი საქმიანობაა, მეორისთვის — გატაცება. ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ პროფესიონალს მოყვარულისგან განასხვავებს კლასი, ოსტატობის ისეთი დონე, რომელსაც სპორტი ხელოვნებამდე აჰყავს. ეს უკვე სადღეისო მოთხოვნაა. მით უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს ხვალინდელ დღეზე.

გვინდა შევეხოთ კიდევ აი რას: სპორტსმენი შეჯიბრებებში იზრდება და ყალიბდება ოსტატად, მაგრამ გააჩნია, ვისთან შეჯიბრებებში. თუ უარს ვიტყვით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, განსაკუთრებით უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის სპორტსმენებთან ურთიერთობაზე, მათ ჩემპიონატებსა თუ სხვა შეჯიბრებებში მიწვევით მონაწილეობაზე, ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. ტოლმა ტოლთან უნდა იასპარეზოს. კარგია, თურქეთსა და სირიაში რომ გაიკვლიეს გზა საქართველოს ათლეტებმა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ერთადერთი ხიდი მსოფლიო და ქართულ სპორტს შორის.

აი, მივადექით ინტეგრაციის საკითხს. ჩვენ უკვე შევაბიჯეთ არა მხოლოდ ახალ დროში, არამედ ახალ სივრცეშიც. შევაბიჯეთ ხელდამშვენებულებმა და ამაყად თავაწეულებმა. გვაქვს ბრწყინვალე სადარბაზო ბარათი: თანამედროვე ოლიმპიური თამაშების 28 ჩემპიონი, 31 ოქროს მედალი, 22 მეორე და 39 მესამე პრიზიორი, 1952 წლიდან მოყოლებული თამაშებში მონაწილე 115 ოლიმპიელი. ასეთი ქვეყნების წინაშე ქუდს იხდის ოლიმპიური სამყარო. ბარსელონაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ მსოფლიო დაინტერესებულია ქართული სპორტის ფენომენით, მაგრამ, თუ გვინდა, ეს ინტერესი არ განელდეს და პირიქით, გაორმაგდეს, ამთავითვე აქტიურად უნდა ჩავებათ მსოფლიო სპორტის ინტეგრაციის პროცესში, ჩავებათ კომპლექსურად. ეს ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია ჩვენი სადარბაზო ბარათის წყალობით. ძნელი — რესპუბლიკის ეკონომიკური პრობლემების გამო. მაგრამ, თუმცა გაგვიჭირდება, ქართული სპორტი უნდა გადავარჩინოთ. სხვაგვარად წინ ვერ წავალთ.

წინ კი უთუოდ უნდა ვიაროთ!

თენგიზ გაჩეჩილაძე

გამოხმაურება

„მხნე“, „მხედრიონი“, „ჩუბინი“...

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან სპორტული სტრუქტურის შექმნის წინადადებისა და მისთვის სახელის შერჩევასთან დაკავშირებით გამოგვეხმაურა რეჟისორი ალექსანდრე ქღენტი. იგი გვირჩევს მეომართა სპორტულ ორგანიზაციას ეწოდოს „მხნე“. „მხნე“ — გულადი, მაგარი, ჯანსაღი (ქართულ სინონიმთა ლექსიკონი). ავტორი იქვე დასძენს, რომ სასურველია აღდგეს ძველმევარდნელთა მისალმება: „ვგუშაგობ ერს!“ პასუხად — „მარად!“

— ქართული არმიის სპორტულ სტრუქტურას უნდა ეწოდოს „მხედრიონი“ — გვწერს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი ნიკოლოზ სომხიშვილი. არის სხვა წინადადებებიც: „ჩუბინი“ (ს. ყანჩაველი, ზესტაფონი), „სარანგი“ (მ. საგინაძე, თბილისი), „ლელო“ (ზ. და ე. ლაღიძეები, თბილისი).

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„დინამო"— ქულათა მაქსიმუმი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის რვა ტურის შემდეგ კვლავინდებურად ლიდერობს თბილისის „დინამო". ბოლო ტურში საქართველოს სამგზის ჩემპიონს ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ზესტაფონის „მარგვეთმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ლიდერმა მაინც შეძლო მეტოქის დამარცხება. შოთა და რეზო არველაძეებმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს. „დინამომ" ქულათა მაქსიმუმი (შვიდი მატჩის შემდეგ) დააგროვა — 21.

დინამოელებს ოთხი ქულით ჩამორჩება რუსთავის „გორდა". რომელმაც რუსთავში აჯობა ზუგდიდის „ოდიშს" — 2:1. ორივე გოლი გიორგი კილასონიამ გაიტანა.

ისე, როგორც თბილისის „დინამო", ჭერჭერობით წაუგებლად იბრძვის გურჯაანის „ალაზანიც". ამჯერად მან გორის „დილა" დაამარცხა — 2:1. რაც შეეხება სოხუმის „ცხუმს", ამან სოხუმში და აფხაზეთში არსებული მდგომარეობის გამო გალის „მზიური" წყალტუბოში მიიღო. სოხუმელთა „დებიუტი" ამ საკურორტო ქალაქში წარუმატებელი გამოდგა — 1:4. აღსანიშნავია, რომ მზიურელთათვის ეს პირველი გამარჯვებაა ამ ჩემპიონატში. ხაშურის „ივერიამ" წარუმატებელი სტარტის შემდეგ (ზედიზედ ოთხ მატჩში დამარცხდა) ბოლო სამ ტურში — 9 ქულა მოაგროვა. უკანასკნელ მატჩში გუნდმა ხაშურში „ბათუმს" სძლია — 2:0. ლანჩხუთში, როცა ანგარიში იყო — 1:1 ადგილობრივი „გურიისა" და ფოთის „კოლხეთი-1913"-ის მატჩში, თამაში კოკისპირული წვიმის გამო შეწყდა (იგი მოგვიანებით გაიმართება). თბილისის „მრეტებმა" თელავში მოუგო „კახეთს" — 3:2, „შევარდენი-1906"-მა კი ვერაფერი „მოუხერხა" წყალტუბოს „სამგურალს" — 0:0.

მერვე ტურის ორი მატჩი: „სამტრედია" — „კოლხეთი" (ხობი) და „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ტორპედო" (ქუთაისი) არ გამართულა.

ბომბარდირთა დავაში შეიცვალა ლიდერი: რვა ტურის შემდეგ პირველობს შოთა არველაძე („დინამო") — 10 გოლი. შემდეგ მოდიან მერაბ მეგრელაძე („სამგურალი") 8, ივანე ჯუღელი („მარგვეთი") და ვარლამ კილასონია („გორდა") — 7-7.

რამინ ყურაშვილი

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 1ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	7	7	0	0	22-4	21
„გორდა" (რუსთავი)	8	5	2	1	26-17	17
„სამგურალი" (წყალტუბო)	8	4	3	1	19-10	15
„შევარდენი-1906" (თბილისი)	7	4	1	2	13-5	13
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	7	4	1	2	13-8	13
„ალაზანი" (გურჯაანი)	5	4	1	0	8-3	13
„მარგვეთი" (ზესტაფონი)	6	3	0	3	13-11	9
„მრეტები" (თბილისი)	5	3	0	2	10-10	9
„დილა" (გორი)	7	3	0	4	11-15	9
„ივერია" (ხაშური)	7	3	0	4	9-14	9
„ბათუმი"	6	2	1	3	8-[illegible]	7
„გურია" (ლანჩხუთი)	6	2	1	3	8-13	7
„სამტრედია"	6	2	0	4	7-9	6
„კახეთი" (თელავი)	7	1	2	4	14-17	5
„ტორპედო" (ქუთაისი)	5	1	1	3	5-5	4
„ცხუმი" (სოხუმი)	6	1	1	4	11-20	4
„მზიური" (გალი)	4	1	0	3	10-19	3
„კოლხეთი" (ხობი)	4	1	0	3	8-19	3
„ამირანი" (ოჩამჩირე)	1	0	0	1	1-4	0
„ოდიში" (ზუგდიდი)	4	0	0	4	2-7	0

ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის

გაიმართა ფეხბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური წყვილების წილისყრა. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

მატჩი № 1 **ნორვეგია — ჰოლანდია**

მატჩი № 2 **დსთ — გერმანია**

მატჩი №3 **შვეცია — დანია**

მატჩი № 4 **იტალია — ინგლისი**

ნახევარფინალებში № 1 მატჩის გამარჯვებული ითამაშებს № 3 მატჩის გამარჯვებულთან, №2 მატჩის გამარჯვებული — № 4 მატჩის გამარჯვებულთან.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

ევროპის სტადიონებზე ამ დღეებში გაიმართა 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები საკლასიფიკაციო ჯგუფებში.

II ჯგუფი

პოლონელმა ფეხბურთელებმა მიიღეს თურქეთის ნაკრები და უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. გადამწყვეტი გოლი 33-ე წუთზე გაიტანა ვალდოხმა.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მატჩი ნორვეგიისა და ჰოლანდიის გუნდებს შორის. ნორვეგიელებმა აქტიურად წარმართეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანა რეკდალმა (11-მეტრიანით), ხოლო მეორე — სერლოტმა (78). ჰოლანდიელთაგან ერთადერთი გოლის ავტორია ბერგკამპი.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ნორვეგია	2	2	0	0	12-1	4
პოლონეთი	1	1	0	0	1-0	2
ინგლისი	0	0	0	0	0-0	0
ჰოლანდია	1	0	0	1	1-2	0
თურქეთი	1	0	0	1	0-1	0
სან-მარინო	1	0	0	1	0-10	0

14 ოქტომბერს ინგლისელები უმასპინძლებენ ნორვეგიის ნაკრებს. ჰოლანდიელები — პოლონელებს.

III ჯგუფი

ლიტველმა ფეხბურთელებმა შინ ფრეს მიაღწიეს ევროპის ჩემპიონთან დანიის გუნდთან შეხვედრაში — 0:0. დანიელმა კრისტოფტემ 54-ე წუთზე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

ნულოვანი ანგარიშით დამთავრდა ლატვიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრაც.

ირლანდია	2	2	0	0	6-0	4
ლიტვა	4	1	2	1	4-4	4
ჩრ. ირლანდია	2	1	1	0	5-2	3
ესპანეთი	2	1	1	0	3-0	3
დანია	2	0	2	0	0-0	2
ლატვია	4	0	2	2	1-6	2
ალბანეთი	4	1	0	3	1-8	2

14 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდებიან: ჩრდილოეთ ირლანდია — ესპანეთი, დანია — ირლანდია.

IV ჯგუფი

ჩეხეთ-სლოვაკეთის და ფარერის კუნძულების გუნდების შეხვედრაში აშკარა იყო ჩეხეთ-სლოვაკელთა უპირატესობა — 4:0. თითო ბურთი გაიტანეს ნემეჩეკმა და დუბოვსკიმ (11-მეტრიანი), ორი — კუკამ.

ბელგია	3	3	0	0	6-1	6
რუმინეთი	2	2	0	0	12-1	4
ჩეხეთ-სლოვ.	2	1	0	1	5-2	2
უელსი	2	1	0	1	7-5	2
კვიპროსი	2	1	0	1	2-1	2
ფარერის კ-ბი	5	0	0	5	0-22	0

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები

ბუდაპეშტში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და ისრაელის ფეხბურთელები. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. ასევე ფრედ და ასევე უგოლოდ — 0:0 დამთავრდა ურუგვაისა და არგენტინის გუნდების მატჩი მონტევიდეოში.

ტუნისის დედაქალაქში თამაშობდნენ ამ ქვეყნისა და ალჟირის გუნდები. ეს მატჩიც ფრედ დამთავრდა — 1:1.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

აკ. წერეთლის გამზირი № 2

ფეხბურთი

1992-93 წ. წ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (უმაღლესი ჯგუფი)

4 ოქტომბერი

„მრეტები" (თბილისი) —
„სამტრედია" (სამტრედია)

8 ოქტომბერი

„დინამო" (თბილისი) —
„დილა" (გორი)

15 ოქტომბერი

„მრეტები" (თბილისი) —
„ამირანი" (ოჩამჩირე)

თამაშების დასაწყისი 16 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 4, 8, 15 ოქტომბერს 11 საათიდან.

ძვირფასო ფეხბურთის მოყვარულებო!

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექცია გაცნობებთ, რომ სტადიონის სალაროებში და ორგანიზაციებში იყიდება (ნაღდ ანგარიშზე ან გადარიცხვით) 1992-93 წ. წ. საფეხბურთო სეზონის მატჩებზე (საქართველოს ჩემპიონატი და თასი, უეფას თასი და საერთაშორისო შეხვედრები) დასასწრები აბონემენტები თბილისის „დინამოსა" და „მრეტების" მონაწილეობით.

აბონემენტის ფასი 500 მანეთია.

ცნობისათვის მოგვმართეთ ტელეფონებზე: 95-95-50; 95-95-44; 95-03-76; 95-89-41.

ჩვენი მისამართია: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი № 2. ანგარიშსწორების ანგარიში № 000700547, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონის მრეწვმშენბანკი, განყოფილების მფო 521783.

სტადიონის დირექცია.

ევროპელთა ანალოგიით

სამხრეთ ამერიკის 10 ქვეყნის 16 გუნდი მონაწილეობდა უეფას თასის მსგავს შეჯიბრებაში, რომელიც პირველად გაიმართა ამ კონტინენტზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიის „ატლეტიკო" (ქ. მინეირო) და „პარაგვაის „ოლიმპია" (ქ. ასუნსიონი): პირველი თამაში მინეიროში დამთავრდა „ატლეტიკოს" გამარჯვებით — 2:0, საპასუხო მატჩში ასუნსიონში „ოლიმპიამ" რევანში კი აიღო, მაგრამ მხოლოდ ანგარიში 1:0. ორი ფინალური მატჩის ჯამში საერთო გამარჯვება ბრაზილიელ ფეხბურთელებს ხვდათ წილად — 2:1.

გარდაიცვალა ჰერმან ნოიბერგერი

ბონი, 27 სექტემბერი. გასულ კვირა დღეს გერმანიის ქალაქ ჰომბურგის საავადმყოფოში 72 წლისა გარდაიცვალა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, ცნობილი საფეხბურთო მოღვაწე ჰერმან ნოიბერგერი.

ჰერმან ნოიბერგერი სათავეში ედგა 1974, 1978, 1982, 1986, 1990 წლების მსოფლიო პირველობათა საორგანიზაციო კომიტეტებს, გარდა ამისა, იგი ბოლო დღეებამდე იყო 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

— ნოიბერგერის სიკვდილი დიდი დანაკლისია არა მარტო გერმანული, არამედ მთელი მსოფლიოს ფეხბურთისთვის. — განაცხადა გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა. — იგი ფეხბურთს მუდამ უყურებდა როგორც მსოფლიოში ყველასთვის საყვარელ სპორტის სახეობას და არა როგორც კომერციულ საქმიანობას. ჩვენ დავკარგეთ შესანიშნავი მეგობარი და საქმიანი მრჩეველი, ჰერმან ნოიბერგერი ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა ეროვნული ნაკრების ინტერესებს.

„სევილია" კლუბ მარადონა

გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას გარშემო ჯერ კიდევ გაუთავებელი ლაპარაკია, საერთაშორისო საფეხბურთო პრესა ჯერაც არ დალოლა მარადონას დისკვალიფიკაციისა და მოსალოდნელი გაყიდვის თაობაზე გამართული კამათით. ახლახან პრესაში და ტელევიზიაში გამოჩნდა ცნობა, თითქოს დიეგო მარადონას თავი მოაბეზრა ამ გაუნუწყვეტელმა მითქმა-მოთქმამ და ამიტომაც მან საბოლოოდ გადაწყვიტა თავი დაანებოს აქტიურ ფეხბურთს, მაგრამ, თურმე, ეს ცნობაც არ შეეფერებოდა სიმართლეს — ცნობილი გახდა, რომ არგენტინელი ფორვარდი შეიძინა ესპანეთის „სევილიამ". მის საფასურად იტალიის „ნაპოლიმ", მარადონას ყოფილმა მფლობელმა, 7,5 მილიონი დოლარი მიიღო.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში ციურიხში, ხუთი საათი მიმდინარეობდა მხარეთა მოლაპარაკება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფიფას გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი. „ნაპოლი" მარადონას საფასურად 8,5 მილიონ დოლარს თხოულობდა, „სევილია" კი მხოლოდ 4,5 მილიონს იძლეოდა და სწორედ იქ უთქვამს მარადონას, რომ თუ მას ხელს შეუშლიდნენ ესპანურ კლუბში გადასვლაზე, იგი თავს დაანებებდა ფეხბურთს.

„სევილიას" ეს კონტრაქტი ერთი წლით აქვს დადებული და შეიძლება გაგრძელდეს ამ ვადის გავლის შემდეგ. გარდა ამისა, „ნაპოლის" ხელმძღვანელობამ ხელშეკრულების ტექსტში კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ შეიტანა პუნქტი, რომელიც „სევილიას" უკრძალავს მარადონას მიყიდვას იტალიური კლუბებისთვის უახლოესი ორი წლის განმავლობაში.

ახალ კლუბში მარადონა ივარჯიშებს ცნობილი სპეციალისტის კარლოს ბილარდოს ხელმძღვანელობით. ეს ის ბილარდოა, რომელიც უწინ არგენტინის ნაკრებს ხელმძღვანელობდა.

დიეგო მარადონამ უკვე ითამაშა „სევილიის" შემადგენლობაში. ესპანეთის ამ კლუბმა ორშაბათს უმასპინძლა მიუნხენის „ბაიერნს". ეს იყო ამ ორი ცნობილი გუნდის ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომლის ტელეტრანსლაციას აწარმოებდა 90 სატელევიზიო კომპანია. თამაშმა საერთაშორისო საფეხბურთო წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მარადონა ჯერ კიდევ შორსაა თავისი ნამდვილი საბრძოლო ფორმისაგან, მან კვლავ დახვეწილი ტექნიკა, ტაქტიკური ალღო და პარტნიორებთან კომბინაციური ურთიერთმოქმედება გამოავლინა. არგენტინელი ფეხბურთელი „სევილიის" კაპიტნის სამკლაურით გამოვიდა, ორივე ტაიმი დაჰყო მინდორზე, 2 ბურთი „ბაიერნის" კარში მისი ზუსტი გადაცემებით გავიდა.

ერთი სიტყვით, ეტყობა დასრულდა დიეგო მარადონას ხანგრძლივი სკანდალური ეპოპეა, ეს ჩინებული ფეხბურთელი კვლავ მწყობრშია.

რა ხდება ქვეყანაზე

● **ჰავანა.** დამთავრდა მძლეოსნობაში მსოფლიო თასის გათამაშება. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: ვაჟებში: 1. აფრიკა — 115 ქულა, 2. დიდი ბრიტანეთი — 103, 3. ევროპა —99; ქალებში. 1. დსთ — 102, 2. ევროპა — 94, 3. აშშ — 79.

● **პეკინი.** ავტომარათონი პარიზი — მოსკოვი-პეკინი ანუ „საუკუნის რალი" მოიგეს ფრანგებმა პიერ ლარტინგმა და მიშელ პერინმა („სიტროენი"). ამ ურთულესი დისტანციის გავლას გამარჯვებულმა 34 საათი, 49 წუთი და 14 წამი მოანდომა.

● **პარიზი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაგიდის ჩოგბურთში იან-უვე ვალდნერმა (შვეცია) თავი გამოიჩინა „პარიზის გრან პრიში". ფინალში მან ბელგიელი ჟან-მიშელ სეივა დაამარცხა — 3:0.

● **ლისაბონი.** „ფორმულა-1"-ის მეთოთხმეტე ეტაპზე ყველას აჯობა ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა. მეორე ადგილი ხვდა ავსტრიელ გერჰარდ ბერგერს, მესამე — შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონს აირტონ სენას (ბრაზილია). როგორც ცნობილია, მენსელმა უკვე გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. წლეულს იგი თოთხმეტიდან ცხრა ეტაპზე იყო პირველი.

● **პარიზი.** ერთწლიანი შესვენების შემდეგ ავტოსპორტს („ფორმულა-1") უბრუნდება 37 წლის ფრანგი ალენ პროსტი, რომელსაც „გრან პრის" ეტაპებზე ყველაზე მეტჯერ (44) გაუმარჯვია. **მან ხელი მოაწერა კონტრაქტს „უილიამსრენოსთან".**

● **დუბლინი.** მრავალდღიანი ველორბოლა ირლანდიის გზებზე მოიგო ავსტრალიელმა ფილ ანდერსონმა. 876 კილომეტრი მან 21:57.15-ში გაიარა. მეორე და მესამე ადგილები ხვდათ მექსიკელ რაულ ალკალას და ანდრეი ჩმილს (რუსეთი).

დასანანია, მაგრამ...

რა დასამალია, საქართველოს სპორტსმენებს და მათთან ერთად, ცხადია, გულშემატკივრებს ძალზე მოენატრათ ევროპული ტურნირები. ზაფხულში თითქოს ამის იმედიც გაჩნდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჯერ უეფამ უთხრა უარი ქართველ ფეხბურთელებს, მერე კი ჩვენი კალათბურთელები მხოლოდ სტუმრად ათამაშეს. ამ მხრივ ერთობ „დიდ პატივში“ აღმოჩნდნენ ჩვენი ხელბურთელები. თავად განსაჯეთ: საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდმა — თბილისის „კოლხეთი-91“-მა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასის გათამაშების ორივე შეხვედრა შინ, „ქარიშხალას“ სპორტულ კომპლექსში გამართა.

ამ მატჩებში „კოლხეთი-91“-ის მეტოქე ევროპის ერთ-ერთი ტიტულოვანი გუნდი — რუსეთის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი გახლდათ.

სხვათა შორის, ცნობილი გახდა თუ არა მეტოქეთა ვინაობა, მოსაპარეზე გუნდების ურთიერთშეთანხმებით, ორივე შეხვედრის ჩატარება თბილისში გადაწყდა. ამით გუნდებმა თავი აარიდეს ზედმეტ ხარჯებს.

პირველ დღეს ჩვენი გუნდი 12 ქულის სხვაობით დამარცხდა — 19:31, თუმცა ტაიმი სულ ორი ქულით დათმო — 8:10. მეორე მატჩიც სტუმართა უპირატესობით წარიმართა. ამჯერად მათ თავიანთ „ნადავლს“ ერთი ქულა წაუმატეს — 33:20, ტაიმი კი 14:9 მოიგეს.

მარცხი ყოველთვის დასანანია, მაგრამ ასეთ ძლიერ მეტოქესთან წაგება, ვფიქრობთ, სათაკილო არ უნდა იყოს.

აი, რა გვითხრა შეხვედრის შემდეგ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **გურამ ძაგანიამ:**

— ხელბურთი ჩვენში, ფაქტიურად, კვლავ იწყებს აღორძინებას ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ. წელიწადზე ნაკლებია, რაც ჩვენი გუნდები ინტენსიურად ვარჯიშს შეუდგნენ. ასე რომ, ამ წაგებების შემდეგ საგანგაშო მაინცდამაინც არაფერი გვაქვს. ახალგაზრდა ხელბურთელებმა ხომ კარგი გამოცდილება შეიძინეს.

ბია ბურდული

ინფორმაცია

● **ფინანსური** სირთულეების გამო ფეხბურთელთა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თამაშზე უარი თქვა გამბიის ეროვნულმა ნაკრებმა. ეს უკვე აფრიკის მეხუთე გუნდია, რომელიც კენჭისყრის შემდეგ უარს ამბობს მსოფლიო ჩემპიონატზე. გამბიამდე ანალოგიური განცხადებები გააკეთეს: ბურკინა-ფასომ, სიერა ლეონემ, უგანდამ, სან-ტომემ და პრინსიპიმ.

„სპორტპროგნოზი“

38-ე ტირაჟის შედეგები

13 შედეგი — 149.393 მანეთი;
12 შედეგი — 3.559 მანეთი;
11 შედეგი — 730 მანეთი.

სპეცტირაჟი „C-6“ შედეგები

13 შედეგი — 17.679 მანეთი;
12 შედეგი — 225 მანეთი;
11 შედეგი — 49 მანეთი.

„სპორტლოტო“

39-ე ტირაჟები

„6 45“ — 11. 13. 24. 33. 37. 40.
„5 36“ — 1. 16. 23. 27. 30.
„6 56“ — 4. 7. 21. 27. 44. 45. 46.

38-ე ტირაჟების შედეგები

„6 45“
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 5.781 მანეთი;
4 ნომერი — 212 მანეთი.

„5 36“
5 ნომერი — 43.777 მანეთი;
4 ნომერი — 499 მანეთი;
3 ნომერი — 28 მანეთი.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ავთანდილ ხერგიანი

18 სექტემბერს გაგრასთან ვერაგული თავდასხმისას მუხანათურად ნასროლმა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა უიარაღო მაშველთა კორპუსის ერთ-ერთი წევრი, ნიჭიერი, პერსპექტიული მთამსვლელი ავთანდილ ხერგიანი.

ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი იყო ავთანდილის მიერ განვლილი გზა ალპინიზმში. ხერგიანების სპორტული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში ეზიარა მთამსვლელობას მწვერვალ ბანგურიანზე და შემდეგ სპორტული სრულყოფა ბანაკ „აილამაში“ გააგრძელა.

1987 წელს დაამთავრა ალპინიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი საკავშირო სკოლა და 25 წლის ახალგაზრდა მწვრთნელის რანგით მშობლიურ ბანაკს დაუბრუნდა. მას შემდეგ მწვრთნელად მუშაობდა, ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემდა ახალგაზრდა სპორტსმენებს, პარალელურად, ოსტატობას თავადაც იმაღლებდა.

1990 წელს სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა. იმავე წელს წარადგინეს II კატეგორიის ინსტრუქტორ-მეთოდისტის წოდებაზე. იყო „სამაშველო რაზმის“ ჟეტონის კავალერი, ბანაკ „აილამას“ მთამსვლელთა გუნდისა და სამაშველო რაზმის უცვლელი წევრი. არაერთი სპორტსმენისა და ახალგაზრდის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უხსნია საკუთარის რისკის ფასად. ამ ბოლო წლებში ზემო და ქვემო სვანეთის მთებში არ ჩატარებულა სამძებრო-სამაშველო თუ დაზარალებულთა ტრანსპორტირების არც ერთი სამუშაო მისი მონაწილეობის გარეშე. ბევრჯერ უთქვამს უარი საკუთარი თანრიგის ასამაღლებელ სპორტულ ასვლაზე მხოლოდ იმიტომ, რომ აღსაზრდელებს გვერდიდან არ იშორებდა. სულ სხვებზე ფიქრობდა და საკუთარი ოჯახის შექმნისთვის ვეღარ მოიცალა.

ამჯერადაც მეგობრებზე, სამშობლოს ბედ-იღბალზე ზრუნვამ იძალა და საჭიროების დროს უხმოდ დაუდგა მათ გვერდით.

ავთანდილ ხერგიანის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მთამსვლელი მეგობრების ჯგუფი

ლევან ორდინიანი

ამ ენერგიულ, ჩუმ და უპრეტენზიო კაცს კარგად იცნობდა საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა. იგი წლების მანძილზე, დაწყებული 1949 წლიდან (როდესაც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა), ფიზკულტურასა და სპორტში საქმიანობდა.

პირველი ნაბიჯები არჩეულ პროფესიაში 28 წლის სპეციალისტმა გადადგა ახალციხის მე-3 საშუალო სკოლაში, სადაც იგი ფიზკულტურას ასწავლიდა. ახალციხეში განაწილებით ჩასული ლევანი მოგვიანებით ამავე სკოლის დირექტორი გახდა.

1963 წლიდან ლ. ორდინიანი, თბილისში გადმოსვლის შემდეგ, საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში მუშაობს — იგი ჯერ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების ინსტრუქტორია, შემდეგ კი ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის უფროსი მეთოდისტი.

უკანასკნელ ორ წელიწადს ლ. ორდინიანი ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი იყო.

ეს კეთილსინდისიერი კაცი, რომელიც მუდამ იჩენდა საქმისადმი დიდ სიყვარულს და ცოდნას, რომელიც ჩვენი ბავშვთა სპორტის დიდი მოჭირნახულე გახლდათ, მუდამ ეხსომებათ კოლეგებსა და აღზრდილებს.

საქართველოს განათლების სამინისტრო, ცენტრალური სპორტული სკოლა, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლა.

ვლადიმერ უზუნოვი



საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე უზუნოვი.

ვლადიმერ უზუნოვი 1929 წელს დაიბადა თბილისში, ორმოციან წლებში ეზიარა სპორტულ ტანვარჯიშს, სწავლობდა ჯერ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში, შემდეგ კი ფიზკულტურის ინსტიტუტში.

1950 წლიდან მუშაობდა რკინიგზის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ტანვარჯიშის განყოფილების მწვრთნელად, ხოლო 1965 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე — ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

ვლადიმერ უზუნოვი წლების მანძილზე იყო სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი, შემდეგ — უფროსი მწვრთნელი, აღზარდა მრავალი ცნობილი ტანმოვარჯიშე, არჩეული იყო ჯერ თბილისის, მერე კი რესპუბლიკის სპორტული ტანვარჯიშის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ.

ვლადიმერ უზუნოვი კეთილსინდისიერად, ენერგიულად ემსახურებოდა ქართული სპორტული ტანვარჯიშის განვითარების საქმეს, გახლდათ კვალიფიციური, უნარიანი სპეციალისტი, გულისხმიერი აღმზრდელი, მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ნაცნობ-მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია, საქართველოს რკინიგზის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა.

თამაზ ზვიადაური

გარდაიცვალა 1992 წლის 18 სექტემბერს გაგრაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს...

თუ რა იგულისხმება ამ სტრიქონების მიღმა, ყველამ კარგად ვიცით ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ. აფხაზეთში რჩეული ქართველი ვაჟკაცები საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლას ეწირებიან. თამაზ ზვიადაური ერთი მათგანი გახლდათ.

1960 წელს დაიბადა თიანეთის რაიონში. სკოლა, მერე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და წარმატებები სპორტში — არაერთხელ გაუმარჯვია მოსწავლეთა და მოზრდილთა საქართველოს ჩემპიონატებში შუბის მტყორცნელთა შორის. სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახლდათ აქტიურ სპორტს რომ ჩამოსცილდა და სამართალდამცავ ორგანოებში დაიწყო მუშაობა. ბევრი სასიკეთო საქმე უკეთებია და მრავალსაც შეძლებდა, რომ დასცლოდა.

რომ დასცლოდა...

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თბილისის საქალაქო საბჭო.

თბილისის სპორტისა და ტურიზმის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსი

ოთარ გიორგის ძე კაპანაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამბოს რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, სპორტის ოსტატს ილია ქევხიშვილს დედის

თამარ ბუზუტიშვილ-ქევხიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში 3-4 ოქტომბერს ატარებს 1993 წლის ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის დაწყებასთან დაკავშირებით მსაჯთა და მწვრთნელთა შეკრება-სემინარს.

ყველა მსაჯისა და მწვრთნელის დასწრება სავალდებულოა.

სემინარის დასაწყისი 14 საათზე.

კალათბურთის ფედერაცია.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს, რევაზ ცხაკაიას მამის გარდაცვალების გამო.

ბორის სუხიშვილი

50-იან და 60-იან წლებში იგი იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი მოტო და საავტომობილო სპორტში, ამ უკანასკნელში კი საკავშირო პირველობის პრიზიორიც.

სპორტის ტექნიკური სახეობებით გატაცება ტრადიციად იქცა სუხიშვილების ოჯახში. ბორისის მამა, შალვა სუხიშვილი, შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში სამოტოციკლეტო სპორტის ერთ-ერთ დამფუძნებლად.

სპორტზე უზომოდ შეყვარებული, მამის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, სპორტის ოსტატი ბორის სუხიშვილი სარბიელიდან წასვლის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგრძობდა რესპუბლიკის სპორტსმენთა აღზრდას.

ამ ვაჟკაცური ბუნებისა და კეთილშობილი ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის ავტომოტო სპორტის ფედერაცია და ვეტერანები, რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბი.

ჩვენი მისამართი: 380096, ქ. კოსტავას, 14. ტელ: 99-66-47, 99-82-72. ინდექსი 68435 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.